საქართ-ლოს მემარცხენე ფედ.-ფედ. სარევ. პარტიის.

წელიწადი მესამე

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 7.000.000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 500,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახაზლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34.

განცხადების ფასი
1 გვ. 20 კაპ. ...
4 „ 15 „ ...
სამგლოვიარო განცხადებები
1 გვ. 1 მ. 50 კ. ზერები.
4 „ 1 მ. — „

№ 618 კვირა, ნოემბრის 11, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 500,000

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი: დედა ვერა სვიმონის ასული, ძმა არჩილ ნიკოლოზის ძე, დები: თიკო, ნინა და მარგო, სიძე ევგენი გიორგის ძე დალაქიშვილი, რძალი მარი იოსების ასული, დეიდები: პარასკევა სვიმონის ასული ჯულელისა შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ სამშაბათს, 13 ნოემბერს ა. წ. სრულდება 40 დღე, რაც მათი ძვირფასი და დაუვიწყარი, თიანეთ-ახმეტის გზაზე (თიანეთის მაზრა) მიმავალი, საქ. სახ. უნივერსიტეტის იურიდიულ განყოფილების სტუდ.

**თადო (თადეოზ) ნიკოლოზის ძე კახიშვილი**

გამოურკვეველ პირების მიერ ვერაგულად იქმნა მოკლული. პანაშვიდი გადახდის იქნება 13 ნოემბერს მის საფლავზედ დ. თიანეთში.

## გერმანეთის და პოლონეთის ამბები

ბავარიაში მონარქისტული გადატრიალების ფაქტი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა გერმანეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ჰიტლერის ხელმძღვანელობით წარმოებულ მოძრაობას მიზნათ აქვ ჰოგენცოლერნის დინარტიის აღდგენა. ლიუდენდორფი უკვე ცხადდება სრულიად გერმანეთის სამხედრო მინისტრად და ყველა სამხედრო ძალების მთავარსარდლად. მართალია საიმპერიო მთავრობა არ სცნობს ჰიტლერის მთავრობას, მაგრამ ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა. საიმპერიო მთავრობა დღეს მეტად უძლური და უსუსური არის იმისათვის, რომ შესძლოს რეალური წინააღმდეგობის გაწევა. შტრეზერმანს სხვა არა დარჩენია თუ არა ნაციონალისტებთან მოლაპარაკების გამართვა, მაგრამ ნაციონალისტები დემოკრატების გაძევებასაც კი მოითხოვენ მთავრობის შემადგენლობიდან.

როგორც დეპეშები გადმოგვცემს ბავარიის ფაშისტებს სრულიადაც არ აშინებს შტრეზერმანის მუქარა და პირიქით ისინი ილებენ გადაწყვეტილებას ბერლინზედ გალაშქრების შესახებ, თუმცა ჯერ ჯერობით ეს გადაწყვეტილება შეიძლება სისრულეში არ იქნეს მოყვანილი.

სოციალ-დემოკრატიის დაცემას საზღვარი აღარ უჩანს. წითელ ტიურინგიაში რეიხსვერის შესვლას სოციალ-დემოკრატების თანხმობის ბეჭედი აზის. ყვითელი პროფკავშირებიც მხარში უდგას კაპიტალის მაგნატებს და მუშებს მოუწოდებს, რომ ისინი ჩაეწერონ პოლიციაში.

ეს მდგომარეობა უკვე სასწორს ჯერხნობით ხრის რეაქციისაკენ. კომუნისტების დევნა-დატუსაღება, რევოლიუციონურ ორგანიზაციათა დაშლა და განადგურება უპირველესი მიზანი ხდება გამარჯვებული რეაქციონური ელემენტების.

რა თქმა უნდა ყოველივე ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ რევოლიუციონურ მოძრაობას საბოლოოდ წერტილი დაესვას. ჩვენ გუშინდელ ნომერში ჩვენი გაზეთისა ხაზს უსვამდით იმ გარემოებას, რომ ფაშისტური ძალები კიდევ უფრო მეტ ანარქიასა და არევ დარევას შეიტანს გერმანეთის ცხოვრებაში და იგი ერთი წუთითაც ვერ შესძლებს გერმანეთის გამოყვანას შექმნილი მდგომარეობიდან.

რეაქციის გათავხედება ლოღიკური აუცილებლობის იწვევს რევოლიუციონურ ძალების მობილიზაციას, შემჭიდროებას და დარაზმვას. მართალია დიდი დევნას და ძალდატანებას აქვს ადგილი, მაგრამ ძალდატანების მომენტით არ განისაზღვრება რევოლიუციონური მოძრაობის ჩაქრობა. დღეს რევოლიუციონური ენერგია საკმაოდ არის დაგროვილი არა მარტო გერმანეთში, არამედ უფრო „მიუალ“ სიმაგრეებშიაც. ამის დამამტკიცებელია გუშინდელი მოძრაობა ბულგარეთში, ხოლო რევოლიუციონური ბრძოლა დღეს პოლონეთში.

პოლონეთი მთელ ციხე სიმაგრეთ ითვლებოდა. თითქოს ყველა შევეჩვიეთ იმ აზრს, რომ პოლონეთის აფეთქება ადვილი საქმე არ არის, რომ იქ ჯერხნობით შეუძლებელია მოძრაობის დაწყება, მიუხედავად ამისა პოლონეთში სერიოზულ მოძრაობას ვხედავთ. მართალია სოციალისტური პარტიის მოღალატური საქციელით იშლება საერთო გაფიცვა, მაგრამ ეს სასარგებლოა იმ მხრივ მაინც, რომ მუშათა კლასისათვის ნათელი ხდება ამ პარტიის როლი და ფიზიონომია.

კრაკოვის მუშების ბრძოლა, ქალაქის ხელში ჩაგდება, მთავრობის ჯარის დახევა და ზემოსილეზიის პოლკის მუშების მხარეზედ გადასვლა—ნათელს ხდის, რომ პოლონეთის პანების ხელისუფლება არც ამდენათ მტკიცეა, რამდენათაც ეს ბევრს ეგონა.

ამ საერთო ორომტრიალში მრავალი დამარცხებისა და გამარჯვების მოწამენი გავხდებით, სანამ ისტორიის ლოღიკა თავის დასკვნას არ გამოიყვანს და მუშათა კლასს არ გადასცემს საზოგადოებრივი ცხოვრების საჭეს.

## პრესა

### ჩვენი რიგებისაკენ.

ამ სათაურით გაზ. „კომუნისტის“ მეთაური (№ 259) ეხება ჩვენი პარტიული ყრილობის მიერ დადგენილ გადაწყვეტილებას კომპარტიასთან გაერთიანების შესახებ და „მხურვალეთ ესალმებ მას“. წერილი მოგვყავს უცვლელად.

„გადამწყვეტ კლასობრივ ომების პერიოდში, რომელშიაც დღეს იმყოფება მთელი მსოფლიო, ყველგან უჩვეულო სისწრაფით მიმდინარეობს სოციალურ ძალების დარაზმვა ორ უკიდურეს ბანაკად.

ან რევოლიუციონურ პროლეტარიატთან და მის პარტიასთან, კომუნისტურ პარტიასთან, ან შავრაზმელებთან, რეაქციასთან, ფაშიზმთან,—ასე გადაჭრით აყენებს საკითხს მიმდინარე სინამდვილე.

თანდათან იშლებიან შუათანა პარტიები და თავიანთი კლასობრივი ბუნების მიხედვით ჰპოულობენ საბოლოო ადგილს ბარიკადების აქეთა ან იქეთა მხარეზე.

ეს პროცესი საზოგადოებრივ ძალთა კრისტალიზაციის, მათი დიფერენციაციისა ლოღიკურ დასასრულამდე, ძალუმად შეეხო საქართველოში მომქმედ პარტიებსაც.

საბჭოთა ხელისუფლების მესამე წელზე მოხდა ჩვენში ოდესღაც უდიდესი და უძლიერესი პარტიის, მენშევიკური სოციალ-დემოკრატიის დაშლა.

კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების რევოლიუციონურმა და აღმშენებლობითმა მუშაობამ ერთი მხრით ხოლო მეორე მხრით მენშევიკების ზედა წრეების სისტემატიურმა და აშკარა მოღალატეობამ მშრომელი ხალხის მიმართ, გამოაფხიზლა მენშევიკური მასა, რომელმაც თავის ყრილობაზე ლიკვიდაცია მოახდინა მენშევიკური პარტიის: ის დადგა საბჭოთა სისტემის პლატფორმაზე და კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ.

ასევე მოიქცნენ ამას წინედ „ახალგაზრდა მარქსისტები“.

აგრეთვე დაიშალნენ ე. წ. ნაციონალ-დემოკრატები, რომელთაც ფეხიდან გამოეცალათ ყოველგვარი ნიადაგი საბჭოთა საქართველოს სოციალ-ეკონომიურ და პოლიტიკურ პირობებში.

ამგვარად ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენში სავსებით მოისპნენ ანტისაბჭოთა პარტიები, დაირღვა ანტისაბჭოთა ფრონტი ამასთან გაძლიერდა ფრონტი რევოლიუციის, მის დამცველთა რიგებში კომუნისტებს გვერდში ამოუდგნენ ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი ელემენტები.

რევოლიუციონური ძალების კონსოლიდაციის პროცესი ამით არ გათავებულა.

მემარცხენე ფედერალისტების თვითლიკვიდაცია, რომელიც მოახდინა მათმა ეხლანდელმა ყრილობამ, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია ამ მიმართულებით გადადგმული.

ჩვენ დღეს არ შევუდგებით ფედერალისტთა პარტიის წარსულის შეფასებას. ამაზე ჩვენ მრავალჯერ, წინედაც და სულ ბოლო ხანებშიაც გვქონდა ლაპარაკი.

მით უმეტეს არ გამოუდგებით ამ წარსულის გადმოლაგებას, რომ მისგან გაიმიჯნენ თვით მემარცხენე ფედერალისტები

მემარცხენე ფედერალისტები დღიდან საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებისა დადგნენ საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე. ამ სამი წლის განმავლობაში ისინი, თავიანთი ძალების მიხედვით, მუშაობდნენ ჩვენთან ერთად, ემსახურებოდნენ რევოლიუციას და ხელს უწყობდნენ საბჭოთა აღმშენებლობას. ჩვენს პირობებში ამას საკმაო დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა. ამას ჩვენ აშკარად ვამბობთ.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამ დროის განმავლობაშიც ზოგიერთ გაუგებრობას მაინც ჰქონდა ადგილი ჩვენსა და მათ შორის. მაგრამ ეს, უნდა ვიფიქროთ, უფრო იყო შედეგი წარსულისაგან მათზე გადმოცემული ტრადიციების, რომლებისგან სავსებით განთავისუფლება არც ისე ადვილი იყო მათთვის, ვინემ დღევანდელი რევოლიუციის შეფასებაში ჩვენ შორის ძირითადი განსხვავების.

მაგრამ რაც დრო გადიოდა, მით უფრო თავისუფლდებოდენ ისინი წარსულის ნაშთებისაგან, მით უფრო გასაგები და მისაღები ხდებოდა მათთვის ჩვენი მიზნები და მათ განსახორციელებლად არჩეული გზები და საშუალებანი.

და დღეს ისინი საჯაროდ აცხადებენ: „სოციალიზმი უნდა დამყარდეს ბოლშევიკური მარქსიზმის დროშით, რევოლიუციას წინ უნდა უძღოდეს მარქსისა და ლენინის სურათი... აქეთკენ მოუწოდებთ ჩვენ რიგებსაც („ტრიბუნა“, № 616).

საგულისხმო აღსარებაა.

ცხადია, რომ ამის შეგნებამდე მისვლის შემდეგ აზრი ეკარგებოდა მემარცხენე ფედერალისტების ცალკე ორგანიზაციულ არსებობას.

მართლაც, ამ პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციებში, როგორც ხსენებული გაზეთიც გვამცნობს კარგა ხანია მომწიფებული იყო აზრი თვითლიკვიდაციის საჭიროების და თავიანთი ძალების უშუალოდ კომუნისტური პარტიისათვის დაქვემდებარების შესახებ.

მემარცხენე ფედერალისტების ეხლანდელმა ყრილობამ ამ, მათში უკვე მომწიფებულ აზრს ფორმალური გამოხატულება მისცა და თავისი პარტია გაუქმებულად გამოაცხადა.

ეს უეჭველად მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს მაჩვენებელია, ერთი მხრით, მემარცხენე ფედერალისტების რევოლიუციონურ შეგნების ზრდის, მეორე მხრივ—ჩვენი პარტიის ერთი დიდი გამარჯვებათაგანია, გამარჯვება მიღებული არა ბრძოლის ველზე, არამედ იდეურ და მორალურ სფეროში.

ვერავინ იტყვის, რომ ჩვენს პარტიას რაიმე ძალდატანებითი ზომები მიეღოს მემარცხენე ფედერალისტების წინააღმდეგ. თვითონ ისინი სრული ნებისყოფით და შეგნებით მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მხოლოდ კომუნისტური პარტიაა ის ერთად ერთი ძალა, რომელიც მეთაურობს ძლევამოსილ რევოლიუციას და რომელსაც შესწევს უნარი უდიდესი აღმშენებლობითი მუშაობის, ქვეყნის აღორძინების.

მემარცხენე ფედერალისტების ყრილობამ ეს აღიარა და ის დადგა კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ.

ჩვენ ვესალმებით ამ ნაბიჯს. მათი უშუალოდ დაკავშირება კომუნისტურ პარტიასთან უეჭველად სასარგებლოა რევოლიუციისა და მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის“.

## რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტას“ ცნობები 10 ნოემბრიდან.)

— ტიურინგიაში რეიხსვერი მოღალატურად იქმნა მიწვეული სოც.-დემ. მიერ.

— გიტლერის მიმდევარნი მოუწოდებენ ხალხს დაარბიონ ებრაელები.

— პატიოსანი სოც.-დემ. გერმანეთში სტოვებენ პარტიას

კარი და ლოსოვი წინააღმდეგნი არიან გიტლერის განკარგულებისა.

— კარმა ბრძანება გასცა დააპატიმრონ გიტლერი და ლიუდენდორფი

— გიტლერს გარდა თავის რაზმებისა არავინ ემხრობა.

— მემარჯვენენი სცდილობენ შექმნან მემარჯვენე მთავრობა.

— შტრეზემანი წ ნააღმდეგია ნაციონალისტების გეგმებისა.

— სეპარატისტებმა დაიჭირეს ლანდაუ და ნეიშტადტი.

— რურისა და რეინის ოლქში უმუშევრობა იზრდება.

## გერმანეთის ამბები

რეიხსვერი მოღალატურად იქნა მიწვეული ტიურინგიაში სოც.-დემ. მინისტრების მიერ კომუნისტ მინისტრების დაუკითხავად. პროფკავშირები მერყეობენ. სოც.-დემ. იმედი აქვთ, რომ კომუნისტი მინისტრები გადადგებიან. კომპარტია თითქმის ყველგან არა ლეგალურ მდგომარეობაში გადავიდა. კომუნისტური პრესა აკრძალულია. ხდება მასიური დაპატიმრება. კომპარტია განაგრძობს ბრძოლას პროლეტარული დიქტატურისათვის.

რეიხსვერის მიერ ტიურინგიის დაჭერის გამო. ფაშისტთა შეტევა ბერლინზედ, ეტყობა, აცილებულია თავიდან.

ნიურენბურგის ქუჩაზე გაკრულია გიტლერის მიმდევართა მოწოდება, რომლითაც აქეზებენ ხალხს, დაარბიონ ებრაელები.

ბერლინის მთავრობის პირველი ცდა, დაეწესებინათ მტკიცე ვალიუტა, უშედეგოდ დამთავრდა.

სოც.-დემ. ბერნარდტ რაუშმა განაცხადა, რომ ის გამოდის პარტიიდან, რადგანაც პარტიის პოლიტიკა პირდაპირ ეწინააღმდეგება სახელმწიფო ინტერესებს. პრუსიის ლანდტაგის დეპუტატი, სოც.-დემ. რაბოლდი აგრეთვე გამოვიდა პარტიიდან, რადგანაც პარტია აღარ აწარმოებს პატიოსან მუშურ პოლიტიკას.

გიტლერის მიერ მოწყობილ, მიუნხენის გადატრიალების შემდეგ, კარი გამოცხადებულია გერმანეთის რეგენტათ, ლოსოვი—საიმპერიო თავდაცვის მინისტრად, ლიუდენდორფი—მთავარსარდლად, გიტლერი—პოლიტიკურ კონსულტანტათ.

გერმანეთის მთავრობამ მოწოდება გამოუშვა რომელშიაც ბავარიის მიერ აღებულ გზას სახელმწიფოებრივ ღალატად სთვლის, ებერტმა გენერალ სექტი აღჭურვა სრულის აღმასრულებელის ძალა-უფლებით, დღეს კარმა და ლოსოვმა განაცხადეს, რომ ისინი არ ეთანხმებიან გიტლერის გამოსვლას და რომ გუშინდელი მათი თანხმობა გადატრიალებაში მონაწილეობის მიღების შესახებ ძალდატანებითი იყო, ნიურენბერგის ბურგომისტრი იტყობინება, რომ კარი და ლოსოვი გიტლერისა და ლიუდენდორფის წინააღმდეგ გამოვიდნენ. კარმა ბრძანება გასცა დააპატიმრონ გიტლერი, ლიუდენდორფი და ყველა ფაშისტთა ბელადები, გამბურგში მოახდინეს ფაშისტთა მასიური დაპატიმრება. რეიხსვერმა და პოლიციამ ბრძანება მიიღეს გამოვიდნენ გიტლერისა და ლიუდენდორფის წინააღმდეგ.

ჩრდილოეთ—ბავარიაში დაბანაკებული რეიხსვერის ნაწილები იტყობინებიან ბერლინში, რომ ისინი წინააღმდეგნი არიან გიტლერის გამოსვლისა. გიტლერი დამოუკიდებლად მოქმედებდა და არ შეუთანხმა თავისი მოქმედება კარს. კარი გიტლერის მუქარის გამო დასთანხმდა გადატრიალებაზე, ხოლო დღეს პირ და პირ გამოვიდა მის წინააღმდეგ.

ბავარიის პოლიციის უფროსი ემხრობა კარს. გიტლერი და ლიუდენდორფი აქამდის დაპატიმრებული არ არიან და სად იმყოფებიან, არავინ იცის.

საერთოდ გიტლერის გამოსვლა გადაიქცა ბავარიის სახალხო პარტიისა (კარი და ლოსოვი) და ფაშისტთა (გიტლერი და ლიუდენდორფი) ბრძოლად.

მიუნხენში ყველა სახელმწიფო შენობები კარის ხელში, ხოლო სამხედრო სარდლობის შენობები გიტლერის მომხრეებს უჭირავთ.

ბერლინში და მთელს გერმანეთში არავითარი გამოსვლა მემარჯვენეებისა არ ყოფილა, ვიურტემბერგის მთავრობამ განაცხადა, რომ იგი წინააღმდეგია გიტლერის გამოსვლისა.

ყოველ დღე ცხადი ხდება მემარჯვენეთა განზრახვა, შეადგინონ ლეგალურის გზის მემარჯვენე მთავრობა. შტრეზემანთან მოლაპარაკების დროს გერცტმა წამოაყენა ნაციონალისტების მოთხოვნილება, რათა გავიდნენ ებერტი და შტრეზემანი და მეიქმნეს „ნდობის მთავრობა“. მან განაცხადა, რომ ამისთანა მთავრობის შექმნას მხარს უჭერენ სამრეწველო წრეები. აგრარიები და რეიხსვერი, რომელნიც არ შეუშინდებიან შტრეზემანის ძალდატანებით გადაყენებას რეიხს კანცლერის თანამდებობიდან.

ნაციონალისტების უმრავლესობა, რომელსაც სათავეში უდგანან გელფერიხი და გერეტი, მხარს უჭერს ძალა-უფლების ლეგალურის გზით ჩაგდებას ხელში, ხოლო უმცირესობა, ვესტარპისა და შულცის მეთაურობით, მოითხოვენ ნაციონალურ დიქტატურის შექმნს.

მემარჯვენე პარტიები პირდაპირ ბოიკოტს უცხადებენ შტრეზემანს. აგრარიების საიმპერიო კავშირმა უნდობლობა გამოუცხადა მთავრობას და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოითხოვს ნაციონალისტურ მთავრობის შექმნას, რომელიც დაეყრდნობა აგრარიებს. ბავარიის სახალხო პარტიის პრეზიდიუმმა თავის საპარლამენტო სექციას წინადადება მისცა თავი შეიკავოს შტრეზემანის იმედი, რომ ბავარიის კონფლიქტი მოეგვარებინა კნილენგისა და ბავარიის სახალხო პარტიის დახმარებით, არ გამართლდა. ნაციონალისტების წინადადება. რათა შეცვლილ იქმნეს კონსტიტუცია და გაფართოებულ იქმნეს ცალკე სახელმწიფოების ავტონომია, ამტკიცებს, რომ კარსა და ნაციონალისტებს შორის უთანხმოება არ ასებობს.

შტრეზემანის გაზეთი „ცეიტი" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შტრეზემანი წინააღმდეგია ნაციონალისტების გეგმებისა, პარლამენტს გარეშე ლეგალურ დირექტორიის შესაქმნელად.

კლეკნერი სამრეწველო ჯგუფმა იყიდა რესპუბლიკანურ-დემოკრატიული გაზეთი „გერმანეთი" გაზეთის საკონტრო საბჭოში შევიდნენ მემარჯვენე ფრთისა და ცენტრის წარმომადგენელნი

გერმანეთის მინისტრები ცენტრის წარმომადგენელნი, ბრაუნი და ლიუტერი, ემხრობიან შტრეზემანის მთავრობის მემარჯვენე ორიენტაციას. ცენტრის მემარცხენე ფრთა, ვირტის მეთაურობით, მარტოკა რჩება.

სახალხო პარტიაში იზრდება ოპოზიცია შტრეზემანისადმი სტინესის მომხრენი თხოულობენ მემარჯვენე მთავრობის შექმნას. რადგანაც ნაციონალისტები შტრეზემანის წინააღმდეგნი არიან, ამიტომ სახალხო პარტია სტინესის მომხრეთა კანდიდატურას არდგენს—გეინცესა და შინცისა.

სტინესის ჯგუფის გავლენა დემოკრატებზე იზრდებოდა. თუმცა ჯერ კიდევ უმრავლესობა წინააღმდეგი მემარჯვენე მთავრობისა.

მომავალ, განზრახულ მემარჯვენე მთავრობის პროგრამა შემდეგია: ბრძოლა მარქსიზმთან, სოც.-დემ. განდევნა ადგილობრივ მთავრობებიდან, სოც დემ. მოხელეების დათხოვნა, საყოველთაო სამხედრო ბეგარის შემოღება და კავშირის გაწყვეტა საფრანგეთთან.

თუმცა სოც.-დემოკრატებს არ შეუძლიან დარჩეს ნეიტრალურად შტრეზემანის მთავრობის მემარჯვენე ჩიმდინარეობის გაძლიერების გამო, მაგრამ, როგორც ეტყობა, მას საწინააღმდეგო არაფერი აქვს მემარჯვენე მთავრობის შექმნისა, რადგანაც ფიქრობს, რომ იგი ვერ გასძლებს დიდხანს

გეტტინგენში შესდგა გლეხთა არა ლეგალური ყრილობა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ვიურტემბერგისა, ბავარიისა, ბავარიისა, ბადენისა და ჰესსენის წარმომადგენლებმა. ყრილობა მიემხრო მუშათა და გლეხთა მთავრობას და დაადგინა მუშებს დახმარება აღმოუჩინონ სურსათით, თუ მათ მოახერხეს ძალა-უფლების ხელში ჩაგდება.

ბერლინის მაგისტრატში ნაციონალისტებმა შეიტანეს სასწრაფო წინადადება გადაასახლონ ყველა ომის შემდეგ ჩამოსული უცხოელი.

ცნობა მიუნხენის გადატრიალების შესახებ შტრეზემანმა მიიღო ღამით. დაუყოვნებლივ შესდგა მთავრობის სხდომა სექტის მონაწილეობით. მთავრობამ შეიმუშავა მოწოდება, რომელშიაც ნათქვამია: „შეიარაღებულმა ბანდებმა ჩამოაგდეს ბავარიის მთავრობა, დაატუსაღეს მისი მეთაური, კნილინგი და შეადგინეს მთელი გერმანეთის მთავრობა, რომელიც ლიუდენდორფისა და გუტლერის ხელშია. გუტლერის გამოსვლა—სახელმწიფოებრივი ღალატია. გერმანეთის მთავრობა ჩააქრობს მას სასტიკი ზომებით".

„ვოლფის" სააგენტოს ცნობით, მიუნხენის ამბები შეიძლება დამთავრებულად ჩაითვალოს. ყველა მთავრობის შენობები კნილინგის ხელშია ლიუდენდორფი და გიტლერი ჩაიკეტნენ სამხედრო სამინისტროში. რეიხსვერი კნილინგის მხარეზეა.

ტიურინგიის ლანდტაგის დეპუტატები სასწრაფოდ გაწვეული არიან. ვეიმარში იმყოფება რეიხსვერის ყოველ იარაღის წარმომადგენელი ნაწილი ლანდტაგისი და შინაგან საინისტროს წინ მდებარე მოედანი უჭირავს ტყვის მფრქვეველთა გუნდს.

მემარცხენე სოც. დემ ლევი გაზ. „კორესპონდენტს"-ში აღნიშნავს, რომ კონტრ-რევოლიუციამ საქსონიის წინააღმდეგ გამოსვლაში ერთგული მოკავშირეები ნახა სოც. დემოკრატებში. ლევი აღნიშნავს, რომ კომპარტიის ცეკა და საქსონიის კომუნისტები უკანასკნელ წუთამდე სცდილობდნენ ეთანამშრომლათ საქსონიის სოც. დემოკრატებთან. იმ მოწოდების შესახებ, რომელიც იყო საბაბი ცეიკნერის მთავრობის ჩამოგდებისა, ლევი აღნიშნავს, რომ არც ერთ სოციალისტს არ შეეძლო უარეყო ამ მოწოდების ძირითადი პრინციპები.

საქსონიის ლანდტაგში კომუნისტების წინადადებისათვის კენჭის ყრის დროს, რომლითაც ისინი თხოულობდნენ მთავრობისათვის ინდობლობის გამოცხადებას, ხმები შუაზედ გაიყო, წინადადებას ხმა მისცეს ნაციონალისტებმა, სახალხო პარტიამ და კომუნისტებმა, მის წინააღმდეგ სოც.-დემ. და დემოკრატებმა, ნდობის ვოტუმი ჯერ შეტანილი არ არის.

ჰამბურგის მაგისტრატმა სოც.-დემ. ზეგავლენით გადასწყვიტა ხელშეუხებლობის უფლება წაართვას ხმოსან კომუნისტებს.

რეინის სეპარატისტებმა დაიჭირეს ლანდაუ და ნეიშტადტი.

რურისა და რეინის ოლქში უმუშევრობა იზრდება, უმუშევართა რიცხვი 2 მილიონს აღწევს.

## საბჭოთა რესპუბლიკებში.

**მოსკოვი.** კრასნოპრესნენის რაიონის ახალგაზრდათა კომკავშირის კრებაზედ ამხ. ლიადოვმა განაცხადა, რომ ჯერ კიდევ გასულ გაფხულზედ ამხ. ლენინი არავითარ იმედს არ იძლეოდა გამოკეთებისას. მკათათვეში, ექიმებისათვის მოულოდნელად, სწრაფად დაიწყო გამოკეთება. მაშინ მიჰხვდნენ ავადმყოფობის ნამდვილ მიზეზს და მკურნალობა სწორე გზაზე დადგა.

ექიმები ფიქრობდნენ, რომ ლენინი ვეღარ შესძლებდა კითხვას. ერთხელ, სეირნობის დროს, ლენინი გაატარეს ორი ამხანაგის ახლოს, რომელნიც გაზეთს კითხულობდნენ, ამხ. ლენინმა, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ არ ლაპარაკობდა, ანიშნა, რომ მიეყვანმთ ამ ხალხთან. მიყვანისთანავე, გამოსტაცა მათ გაზეთი და მთელი ერთი საათი ხარბად კითხულობდა მას.

ამის შემდეგ გამოკეთება უფრო სწრაფად წავიდა წინ.

ეხლა ლენინი დაუხმარებლად ჩამოდის მეორე სართულიდან, რადგანაც მარჯვენა ხელი სუსტად მოძრაობს, მან ისწავლა მარცხენა ხელით წერა.

მისი აზრი გამალებით მუშაობს და მალე იგი ისევ ჩაუდგება სათავეში სახელმწიფოს საქმეს.

## ს. ს. რ. კ. და უცხოეთი.

**მოსკოვი.** საერთაშორისო კოოპერატიული გაერთიანების გენერალურმა მდივანმა, გენრი მეიმ „როსტას" თანამშრომლებთან საუბარში განაცხადა, რომ ინგლისში უფრო და უფრო იზრდება ცენტროკავშირის გავლენა, ამის დამამტკიცებელი პურის საექსპორტოდ დაარსებული ინგლის-რუსეთის საზოგადოება.

**მოსკოვი.** თეირანის გამოფენაზედ რუსეთიდან გაიგზავნა 18,000 ექსპონატი.

**მოსკოვი.** საფრანგეთის სამეცნიერო—საგამომცემლო წრეებმა წამოაყენეს საკითხი რუსეთში საფრანგეთის სამეცნიერო წიგნის გამოფენის მოწყობის შესახებ, მსგავსად გერმანეთის წიგნისა.

**მოსკოვი.** ცნობილმა საფრანგეთის ეკონომისტმა ბარლ ჟიდმა „როსტას" თანამშრომელს განუცხადა: რუსეთს შეეძლო მიეცა საფრანგეთისათვის პური და სხვა საქონელი, საფრანგეთი კი მისცემდა ლითონსა და მის ნაწარმოებს, საფრანგეთის კოოპერატივები რომ უფრო აქტიურ აგიტაციას ეწეოდეს რუსეთთან დასაახლოვებლად, ეს დააჩქარებდა ნორმალურ სავაჭრო ურთიერთობის დამყარებას, ჯერ-ჯერობით ეს მუშაობა სუსტია, დავბრუნდებით თუ არა საფრანგეთში, მე უფრო მტკიცედ და მეტის ხალისით შეუდგები საამისო მუშაობას.

# უცხოეთი

**ვარშავა.** კრაკოვის ... გენერალი ჟელიგოვსკი მოლაპარაკებას აწარმოებს მუშათა წარმომადგენლებთან ... მოითხოვს მუშებისაგან იარაღების ჩაბარებას. მუშები ... რკინის გზების დემილიტარიზაციას და სამხედრო საველე სასამართლოების გაუქმებას. გაფიცვა კრაკოვში გრძელდება.

„გაზეტა ვარშავსკა" უკანასკნელი ამბების გამო მოითხოვს „ჯარში ჯანსაღი სულის შეტანას". სამხედრო ნაწილების მიერ მუშებისათვის იარაღის დათმობა და ჯარების დაძმობილება მუშებთან ... გაზეთის სიტყვით „დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს პოლონეთის პროლეტარიატზე".

**ლონდონი.** სახაზინოს კანცლერის ჩემბერლენის განცხადებით, ინგლისის მთავრობა სერიოზულად იხილავს საყოველთაო არჩევნების საკითხს. მუშათა პარტიამ და ლიბერალებმა უკვე დაიწყეს კამპანია პროტექციონიზმის წინააღმდეგ. ასკვიტმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ პროტექციონიზმი ხელს უშლის საქონლის გატანას და აძლიერებს უმუშევრობას.

**პარიზი.** საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოუშვა მოწოდება, რომელშიაც აღნიშნულია, რომ მატტეუსა და ნიკოლაის განთავისუფლებისათვის ბრძოლა საერთაშორისო ფაშისტებთან საერთო ბრძოლად უნდა გადაიქცეს.

# პრესის მიმოხილვა

### „ხლართი იხსნება"

მოსკოვის გაზეთ „იზვესტიაში" ამხ. სტეკლოვი სწერს:

„გერმანეთის ფაშისტებმა თავისი გადამწყვეტი გამოსვლა შეუფარდეს ნოემბრის რევოლიუციის მე-5 წლის თავს და დანიშნეს 7—9 ნოემბრისათვის. ამბობენ, აქტიური მოქმედება მათ დროებით გადასდეს. ეს არა იმიტომ, რომ ეშინიანთ სერიოზული წინააღმდეგობისა. შტრეზემანი და სოც.-დემ. უიმისოდაც მუშაობენ მათთვის. ფაშისტებს დარჩენიათ დამშვიდებით მოკრიფონ ნაყოფი, როცა იგი მომწიფდება".

აღწერს რა საქსონიისა და ტიურინგიის სოც.-დემ. მოღალატურ საქციელს და შტრეზემანისა სოც.-დემ. და ცენტრის ორპირ პოლიტიკას, სტეკლოვი განაგრძობს: „გერმანეთში მდგომარეობა მეტად დაიხლართა. რა იქნება შემდეგში. შესძლებს, თუ არა, შტრეზემანი თავის საიდუმლო მუშაობით მშვიდობიანი გზით გადასცეს ძალა-უფლება ფაშისტებს.

მოხდება, თუ არა რეიხსტაგისა და ადგილ...

# მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა პარტიის მეორე ყრილობა

**მეორე სხდომის გაგრძელება.**

თავმჯდომარეობს ამხ. **ი. გედევანიშვილი.**

ამხ. სიმონ ხუნდაძე კითხულობს რეზოლიუციას საერთაშორისო მოხსენებისა და ჩვენი პოლიტიკის შესახებ. რეზოლიუცია მიღებული იქმნა ერთხმად.

### რეზოლიუციები:

**საერთაშორისო მდგომარეობა და ჩვენი პოლიტიკა.**

1. ომის წინა ხანებსა და ომის დროსაც მსოფლიო გაყოფილი იყო ორ მოწინააღმდეგე კოალიციად: ერთის მხრით იდგა ინგლისის, ხოლო მეორეს მხრით გერმანეთის კოალიცია ამ ორი ბანაკის გარშემო იყრიდა თავს უმთავრესად სხვა ქვეყნები. განსხვავება ამ ორ კოალიციის შორის არ იყო პრინციპიალური ხასიათის, რადგან ორივე კაპიტალისტური ქვეყნების ბანაკი იყო. **ომმა და საერთაშორისო რევოლიუციამ ეს მდგომარეობა არ**სებითად დაარღვია და მსოფლიოში წარმოშვა ორი სხვა და სხვა ტიპისა და სისტემის ქვეყნები: ერთ მხარეზე სდგანან კაპიტალისტური სახელმწიფოები. რომელთა მიზანია კაპიტალიზმის აღდგენა და იმპერიალიზმის ბატონობა, ხოლო მეორე მხარეზე საბჭოთა რესპუბლიკები—რომელნიც მიილტვიან კაპიტალისტური მეურნეობის აღმოსაფხვრელად და სოციალისტური ურთიერთობის შესაქმნელად. აქ არის უდიდესი პრინციპიალური ხასიათის სხვადასხვაობა.

ეს ორი დიამეტრალურად საწინააღმდეგო ქვეყნები აძლევენ ტონსა და შინაარს თანამედროვე საერთაშორისო ვითარებას. მაგრამ მაშინ, როდესაც საბჭოთა რესპუბლიკებს შორის სრული სოლიდარობა და ინტერესთა მთლიანობა არის განმტკიცებული, კაპიტალისტურ ქვეყნებს **ღრმის** ინტერესთა გარდუვალი წინააღმდეგობა და შეურიგებლობა, რაც აღმოცენებულია კაპიტალისტურ მეურნეობის ძირითად ტენდენციებზე.

2. საერთაშორისო ომმა და რევოლიუციამ მეტად დიდი ჭრილობა მიაყენა კაპიტალისტურ მეურნეობას, რომლისაგანაც მას თავის დაღწევა **დღესაც ვერ მოუხერხებია.** ომისა და რევოლიუციის ზეგავლენით მსოფლიო რამდენიმე სამეურნეო ერთეულად დაიყო, რომელთა შორის დღესაც არ არის აღდგენილი ნორმალური ურთიერთობა, რაც თავისი მხრით აღრმავებს კაპიტალისტური მეურნეობის კრიზისს.

ომის დამთავრების შემდეგ კაპიტალიზმმა რამოდენიმე კრიზისებისა და „აყვავების" პერიოდები განვლო. მაგრამ ძთლიანად და საერთოდ მსოფლიო კაპიტალიზმმა ვერ შესძლო ომის წინა დროის პირობებამდე მისვლა.

მაშინ, როდესაც დღეს ამერიკა, ინგლისი, საფრანგეთში მდგომარეობა უმჯობესდება რამოდენიმე კაპიტალიზმის სასარგებლოდ, ცენტრალური

რი ევროპა ეკონომიურად ნგრევის პროცესში იმყოფება და დიდ კრიზისს განიცდის.

ვერსალის ავაზაკურმა ზავმა და საფრანგეთის იმპერიალისტურმა პოლიტიკამ დაშალა გერმანეთის მრეწველობის საფუძვლები, ხელიდან გამოაცალა მას ნახშირის, რკინისა და ფოლადის სამრეწველო რაიონები და დაუსრულებელი ეკონომიური ანარქია გაამეფა გერმანეთში. საფრანგეთის იმპერიალისტების მიზანია გაანადგუროს გერმანეთი ფიზიკურად, დაშალოს მისი სიძლიერის ეკონომიური საფუძვლები, დაანაწილოს იგი რამოდენიმე დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და ამგვარად გადააქციოს გერმანეთი 3—4 ხარისხოვან რესპუბლიკათ. ამ მიზნით საფრანგეთმა გამოაცხადა რეინლანდის დამოუკიდებლობა და 65 მილიონიანი კულტურული ერი კოლონიალურ მდგომარეობამდე დაიყვანა.

3) კაპიტალისტური მეურნეობის კრიზისს აღრმავებს აგრეთვე ერთის მხრით იმ პოლიტიკის წინააღმდეგობა, რომელიც არსებობს დიდ სახელმწიფოთა შორის, და მეორეს მხრით, მუშათა მოძრაობა და მძაფრი სოციალური კონფლიქტები. ომმა ვერ გადაჭრა იმპერიალიზმის ძირითადი ამოცანები. ომის დამთავრების შემდეგ თვით მოკავშირეთა შორის გაღრმავდა და გაიზარდა ინტერესთა წინააღმდეგობანი და მსოფლიო კვლავ ახალ გადაყოფის წინაშე სდგას იარაღით ხელში. მსოფლიო მაშტაბით კაპიტალისტურ სახელმწიფოთა წინააღმდეგობანი გამოიხატება 1) ინგლის-ამერიკის ბრძოლაში მსოფლიო ჰეგემონიისთვის, 2) საფრანგეთისა და ინგლისის ბრძოლაში ევროპისა და ახლო აღმოსავლეთზე თავიანთი ბატონობის განმტკიცებისათვის, 3) ამერიკა-იაპონიის კონფლიქტი წყნარ ოკეანეს რაიონში თავიანთი ჰეგემონიის გასამტკიცებლად. ამ მთავარ მომენტებს ზედ ერთვის საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის არსებობა, რომელმაც ენერგიულად გადაიტანა მძაფრი სამოქალაქო ომები შინაურ და გარეშე კონტრ რევოლიუციონერებთან, და განამტკიცა თავისი არსებობის შეურყეველი პოლიტიკური და ეკონომიური საფუძვლები. კაპიტალისტურ ქვეყნებს ძილს უფრთხობს რევოლიუციონური რესპუბლიკების მტკიცე კავშირის შექმნა. მაგრამ მასთანვე ვერ მოუნახავთ ერთი საერთო მოქმედების გეგმა რესპუბლიკათა კავშირის წინააღმდეგ საბრძოლველად.

4) ევროპის კაპიტალისტურ მეურნეობის კრიზისს აძლიერებს ე. წ. კოლონიალური მოძრაობაც. იმპერიალიზმის და კაპიტალიზმის მრავალი ათეული წლების ბატონობამ აფრიკის, აზიისა და ავსტრალიის ჩამორჩენილ ქვეყნებში და მათმა შეუწყვეტელმა ექსპლოატაციამ ბუნებრივად გამოიწვია ამ ერებში ანტი-იმპერიალისტური მოძრაობა და დამოუკიდებლობისადმი მისწრაფება. კოლონიები და ჩამორჩენილი ქვეყნები დაწინაურებულ კაპიტა-

ლისტური სახელმწიფოების მეურნეობაში თამაშობდენ და დღესაც თამაშობენ სამ გვარ როლს: 1) ისინი აწვდიან ევროპის ქვეყნებს მათი წარმოებისათვის საჭირო ნედლ მასალას და სურსათ-სანოვაგეს, 2) წარმოადგენდენ უდიდეს გამსაღებელ ბაზარს მეტროპოლის საქონლისათვის და 3) მეტროპოლიაში დაგროვილ ზედმეტ კაპიტალის ასამუშავებელ ობიექტად ხდებიან. ომის პროცესში კოლონიალური ქვეყნები (კანადა, ინდოეთი, ავსტრალია და სხ.) მოღონიერდა და თავისი საკუთარი მრეწველობა განავითარეს. ომმა და რუსეთის დიდმა რევოლიუციამ გამოაღვიძა ეს ერები და განუმტკიცა სურვილი დამოუკიდებელი არსებობისა. ამ ნიადაგზე არის აღმოცენებული მოძრაობა ინდოეთსა და სხვა კოლონიებში. ამით უდიდესი საფრთხე განუმზადა კაპიტალისტურ ევროპას და ემუქრება მას მისთვის ყველაზე უფროსს სასიცოცხლო რაიონებში.

5) კაპიტალისტური სახელმწიფოები სცდილობენ ამ პოლიტიკურ და ეკონომიურ კრიზისებისა და წინააღმდეგობებიდან თავი დააღწიონ, ერთის მხრით, უსათუოთ მორიგებისა და მშვიდობიანობის გზით, მეორეს მხრით კი, მუშათა კლასისა და ჩამორჩენილ და კოლონიალურ ქვეყნების ექსპლოატაციის ინტენსიური განვითარებით.

ომის დამთავრების შემდეგ კონფერენციები კონფერენციებზე იმართებოდა მსოფლიოს სხვა და სხვა ცენტრებში დიდ სახელმწიფოთა შორის ინტერესთა სოლიდარობის მისაღწევად და მშვიდობიანობის აღსადგენად. ფაქტიურად არც ერთს კონფერენციას რეალური ნაყოფი არ მოუტანია და არსებული წინააღმდეგობანი კვლავ თავისი ტემპით განაგრძობს მსვლელობას, ნაცვლად განიარაღებისა სახელმწიფოები იარაღდებიან თავით ფეხებამდე და ომის ახალი მეთოდების გამოყენებით, ახალი ომის შესაძლებლობას ქმნიან.

ხანგრძლივი და მტკიცე შეთანხმების მიღწევა შეუძლებელი შეიქნა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის: ეს გარემოება იწვევს ახალ-ახალი კოალიციების შექმნასა და ძველი შეთანხმების შეუჩერებლივ გადასინჯვას.

6) ომის დათავების პირველ პერიოდში (1918—20 წ.წ.), როდესაც ევროპის პროლეტარიატი რუსეთის დიდი რევოლიუციის ზეგავლენითა და ომის შედეგებით იმედ გაცრუებული, რევოლიუციონური ენტუზიაზმით აღფრთოვანებული აქტიური გამოსვლებით ემუქრებოდა კაპიტალისტების ბატონობას მთელ რიგ ქვეყნებში,—კაპიტალი თავდაცვითი პოლიტიკას აწარმოებდა და დათმობის გზას დაადგა მუშათა კლასის მიმართ. ამ შემთხვევაში მათ საუცხოვოდ გამოიყენეს რეფორმისტების ძალა და მათი დახმარებით შეაფერხეს რევოლიუციის განვითარების საქმე. (გერმანეთი, იტალია, ჩეხო-სლოვაკია და სხვა). რევოლიუციონური ტემპის მოდუნების შემდეგ კაპიტალი თავდაცვიდან-თავდასხმაზე გადავიდა ... ეკონომიურად და პოლიტიკურად პრო-

ლეტარიატის წინააღმდეგ და ცდილობს გაანადგუროს მუშათა მოძრაობა და გადააქციოს იგი თავის შემოსავლის უდიდეს წყაროდ.

ფაშისტური რეაქციონური მოძრაობა აღმოცენებული არის სწორედ ამ ნიადაგზე. გათავხედებული ბურჟუაზია ცდილობს სახელმწიფო ხელისუფლებასა და შეიარაღებულ ჯართან ერთად იყოლიოს ბურჟუაზიული ელემენტების დამხმარე შეიარაღებული ძალა. ამ მიზნით ის ქმნის თავის შეიარაღებულ ორგანიზაციებს და უპირისპირებს მას პროლეტარულ ორგანიზაციებს. ეკონომიურად კაპიტალის შემოტევა მუშათა კლასის მიმართ გამოიხატა: 8 საათის სამუშაო დღის გაუქმებაში, ხელფასის შემცირებასა და უმუშევართა კადრის გამრავლებაში.

7) დაწინაურებული კაპიტალიზმის შემოსავლის მეორე წყაროდ კვლავ ხდება ჩამორჩენილი ქვეყნები და კოლონიალური ერები. იმპერიალიზმი ენერგიულად ცდილობს კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებში აღადგინოს ომის ზეგავლენითა და რევოლიუციონური მოძრაობის მიზეზებით დარღვეული მშვიდობიანობა და სწორფინაობა, რათა დაწინაურებულმა კაპიტალმა კვლავ განაგრძოს ინტენსიური ყოველმხრივი ექსპლოატაცია ამ ქვეყნებისა. მეორეს მხრით, საბჭოთა რესპუბლიკების დოვლათია რაიონების გამოკლება მსოფლიო მეურნეობის რგოლიდან, გამოუვალ კრიზის ქმნის კაპიტალისტური მეურნეობისათვის, ამიტომ იმპერიალისტების მთავარი მიზანი იყო ეს სამეურნეო ერთეულები სხვა და სხვა საშუალებებით დაებრუნებინათ კაპიტალიზმის ურთიერთობაში. პირველად ამის მიღწევა სცადეს ინტერვენციისა, შეიარაღებული ჩარევისა და რუსული კონტრევოლიუციის დახმარების საშუალებით. მაგრამ საბჭოთა რესპუბლიკების სახელოვანმა წითელმა არმიამ ენერგიული თავდავიწყებითი დაიცვა თავისი დამოუკიდებლობა და ამ გზით მტკიცე საფუძვლებზე ააგო მუშურ გლეხური რესპუბლიკა. ევროპის კაპიტალი იძულებული შეიქმნა დათმობისა და მორიგების გზას გაყოლოდა; მასთანვე მათ ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ იმედები გაუღვიძათ; ამ ნიადაგზე აღმოცენდა გენუა-ჰააგის კონფერენციები, რომლებმაც რეალურად ვერ გაუნაღდა იმედები იმპერიალისტებს. რადგან საბჭოთა ხელისუფლებამ მიზანშეწონილად გამოიყენა საერთაშორისო და შინაური კონიუნქტურა ახალის პირობებისა და თავისი ძალების გასამაგრებლად მოძართა ისინი და არ გადააქცია თავისი თავი კაპიტალიზმის საექსპლოატაციო ობიექტად.

ინგლისი, რომელიც უდიდესი კოლონიალური მფლობელია მთელს მსოფლიოში და რომლის მომავალი ბედ-იღბალი სავსებით დამოკიდებულია საგარეო ბაზრებსა და სამეურნეო რაიონების ურთიერთობაზე, ევროპასა და აზიის კონტინენტზე შექმნილ თანამედროვე პოლიტიკურ პირობების გამო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრივი ლანდტაგის არჩევნები. შტრეზემანსა და სოც.-დემოკრატების მთავრობას ეშინიანთ ამ არჩევნებისა, რადგანაც ჰგრძნობენ, რომ დღევანდელს მომენტში არჩევნებს შეუძლიანთ გააძლიერონ მხოლოდ ნაციონალისტებისა და კომუნისტების ფრაქციები და უფრო მეტად გაამწვავონ კლასიური ბრძოლა.

მაგრამ დღევანდელი მდგომარეობა დიდხანს ვერ გაგრძელდება. რადაც უნდა დაჯდეს გამოსავალი უნდა იპოვნონ. მუშათა კლასის ჩაკვლას ვერ შესძლებს ვერც ფაშისტური რეაქცია და ვერც ძირმომპალი ბურჟუაზიული დემოკრატია. პროლეტარიატი გადაიტანს ერთსაც და მეორესაც".

# ახალი ამბები

— **ნოე ხომერიკის დაპატიმრება.** გუშინ, საქ. საგ. კომისიის აგენტებმა დააპატიმრეს ტფილისში საქ. ყოფ. მენშევიკური პარტიის ერთი ბელადთაგანი, ბანდების ორგანიზატორი, ჩოლოყაშვილის თანამებრძოლი, ნოე ხომერიკი.

— **უმუშევართა სასადილო.** შრომის კომისარიატმა წინადადება მისცა ტფ. უმუშევართა სასადილოს გამგეს, ამ თავითვე შეიძინოს აღნიშნულ სასადილოსათვის ზამთრის საყოფი სურსათ-სანოვაგე.

— **შრომის დაცვა.** შრომის დაცვის განყოფილებას, წინადადება მიეცა მიიღოს ზომები, რათა ქ. ალმასკომის ჯანმრ. განყოფილების ექიმი არ ერეოდეს შრომის დაცვის დარგში.

— **ცვლილება დამზღვევ წიგნაკებში.** შრომის კომისარიატმა დამტკიცა დიმზღვევ. კასის მიერ წარდგენილი დებულება წიგნაკებში დაზღვეულების და მათი ოჯახის წევრების ფოტოგრაფიულ სურათების მოთავსების შესახებ.

— **ცეცხლის ფარეშები.** შრომის დაცვის განყოფილებას წინადადება მიეცა მოხსნას ორთქლის ქვაბებზე მომუშავე გამოუცდელი ცეცხლის ფარეშები და მათ ადგილებზე დააყენოს მცოდნე პირნი მოსალოდნელ უბედურების თავიდან ასაცდენად.

— **ცნობები გლეხთა კომიტეტების არჩევნების შესახებ.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის მიერ ოფიციალურად მიღებული ცნობებით, საქართველოს მთელი რესპუბლიკის ორ მესამედ ნაწილში საურთიერთო დამხმარე გლეხთა სასოფლო, სათემო და სამაზრო კომიტეტების არჩევნები უკვე დამთავრეს.

— **გლეხთა კომიტეტების ყრილობა თელავის მაზრაში.** დღეს, 11 ნოემბერს, თელავის მაზრაში გაიხსნება საურთიერთო გლეხთა დამხმარე კომიტეტების სამაზრო ყრილობა.

— **ქურდის შეპყრობა.** 7 ნოემბერს შეპყრობილი იქნა მოქ. ალექსანდრე კიკოლაშვილი, რომელსაც ბრალი ედებოდა სხვა და სხვა ქურდობაში.

— **ბოროტმოქმედის შეპყრობა.** 7 ნოემბერს შეპყრობილი იქნა მარგარიტა თაქთაქიშვილი, რომელსაც ბრალად ედებოდა მრავალი ბოროტმოქმედება, რაშიაც იგი გამოტყდა.

— **ქურდის შეპყრობა.** 7 ნოემბერს, შეპყრობილი იქნა მოქ. გიორგი კომანი, რომელსაც ბრალი ედებოდა ქურდობაში, რაშიაც იგი გამოტყდა.

— **საწყობის გაქურდვა** 6 ნოემბერს გაქურდული იქნა სახელმწიფო უნივერსიტეტის საწყობი, საიდანაც წაღებულია სხვა და სხვა ნივთები.

— **დაჭრა** 7 ნოემბერს მუნათის შეს. № 3-ში მოქ. იოსებ არუშანოვის მიერ იქნა მძიმეთ დაჭრილი მარუსია მელაშვილი, რომელიც გადაგზავნილია მთავარ საავადმყოფოში. ბრალდებული იოსებ არუშანოვი შეპყრობილია.

— **ეკლესიის გაქურდვა** 6 ნოემბერს გაქურდული იქნა სოფ. მამიკონის ეკლესია, საიდგანაც წაღებულია სხვა და სხვა საეკლესიო ნივთები, რომლის ღირებულება ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია.

— **ბინის გაქურდვა** 5 ნოემბერს გაქურდული იქნა მოქ. მაშო დოლონაძის ბინა, მცხ. კამოს ქ. № 9-ში, საიდანაც წაღებულია სხვა და სხვა საოჯახო ნივთები ღირებული სამ მილიარდ მანეთად. ბოროტ-მომქმედი შეპყრობილი იქნა და აღმოჩნდა ვლადიმერ ვოლოვსკი.

— **ქურდის შეპყრობა.** 6 ნოემბერს ღამის 2 საათზე მოდარაჯე მილიციონერების მიერ შეპყრობილი იქნა ბოროტ-მომქმედი მოქ. გაბიბ მამედ მაგიროვი.

— **ქურდობა.** 6 ნოემბერს გაქურდული იქნა მოქ. ალექსანდრე კოხიძის ბინა მცხ. მაგისტრანის ქ. № 1-ში, საიდანაც წაღებულია სხვა და სხვა ნივთები.

— ორშაბათს, 12 ნოემბერს, საღ. 7 საათზე კავკასიის საექიმო საზოგადოების დარბაზში (გიორგის ქ. № 4) მოხდება საქართველოს სომეხთა საისტორიო საეთნოლოგიო საზოგადოების მორიგი საჯარო კითება; წესრიგში 2 მოხსენებაა: 1) პროფ. ივ. ჯავახიშვილისა „გლეხთა მოძრაობის ისტორიის ერთი ფურცელი ძველ სომხეთში" (ავტორის დავალებით, სომხურ თარგმანს წაიკითხავს დოც. ლეონ მელიქსეთ-ბეგი), და 2) ლეოსი „ფურცლები ძველი სომხეთის ეკონომური ისტორიიდან".

— **მოხსენებები.** კვირას, 11 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, ვაჟთა პირველი ტეხნიკუმის შენობაში (გუნიბის ქ, № 46) საეთნოგრაფიო საზოგადოების მორიგ სხდომაზე წაკითხული იქნება მოხსენებები: 1 ი. აბულაძის მიერ: „უძველესი ქართველი მემატიანის სპარსული წყარო" და 2. ვ. თოფურიას მიერ: „ორმაგი უარყოფა ქართულში". დასწრება გარეშეთაც შეუძლიათ.

— **დუშეთის მაზრაში.** გლეხთა კომიტეტების არჩევნების მიმდინარეობის საქმესთან ახლო გასაცნობად, დუშეთის მაზრაში გაემგზავრა სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარი ამხ. ხომერიკი, და მისი მოადგილე ამხ. ცინცაძე.

— **შრომის ბირჟა.** 9 ნოემბერს, შრომის ბირჟაზე აღრიცხვაზე გამოცხადდა—82 უმ. ახლად ჩაეწერა—58, სამუშაოზე გაიგზავნა სამუშაოზე—55.

— **მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.** სასურსათო სახ. კომისარიატის ცნობის თანახმად, 9 ნოემბრისათვის მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდგან საქართველოში შემოსულია 851, 921 ხორბლის ერთეული; აქედგან—680 ფუთი ხორბალი, 39, 564 ვ. ქერი და ფულად—3 ტრილიონი, 60 მილიარდი, 878 მილიონი და 644 ათასი მან.

— **ქინა დაზღვეულთათვის.** სოც. დაზღვევის სამმართველოს მიერ. დაღზვეულ მუშა-მოსამსახურეებისათვის შეძენილია 78 კილო ქინა, ქინა რომელიც განაწილებული იქნება, რესპუბლიკის დამზღვევ კასათა შორის.

— **აფთიაქის და სამკურნალო პუნქტის მოწყობა გუდაუთში.** ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის სამკურნალო ქვე განყოფილების მიერ მიმდინარე წელს სად. გუდაუთში მოწყობილია აფთიაქი და სამკურნალო პუნქტი.

— **ბინის გაქურდვა.** 7 ნოემბერს გაქურდული იქნა ჩერქეზიშვილის ქ. № 71 სახლში მცხოვრებ ალექსანდრე ბაკურაძის ბინა, საიდანაც წაღებულია სხვა და სხვა ნივთები ღირებული ერთ ნახევარ მილიარდ მანეთად.

**ქურდობა.** 7 ნოემბერს გაქურდული იქნა გუდივიჩის ქ. № 4 სახლში მცხოვრებ მოქ. ლევან ბოგატუროვის ბინა. წაღებულია სხვა და სხვა ნივთები ღირებული 35 ჩერვონეცად.

— **ოქტომბრის დღესასწაული ინვალიდების სახლში.** ოქტომბრის რევოლიუციის 6 წლის თავის აღსანიშნავად ინვალიდების სახლში შესდგა საღამო, რომელსაც დაესწრნენ ინვალიდები და გარეშე პირები, საღამო მეტად შინაარსიანი იყო, ზეიმი გაიხსნა ინტერნაციონალის სიმღერით. მღეროდა ინვალიდების გუნდი. მოხსენება ოქტომბრის რევოლიუციის მნიშვნელობის შესახებ რის შემდეგ გაიმართა რუს.-ქართ. წარმოდგენა.

— **მოსამსახურე მშობიარე ქალების შეღავათების შესახებ.** შრომის სახ. კომისარიატმა დაამტკიცა სოც. დაზღვევის სამმართველოს მიერ წარდგენილი ნუსხა იმ პროფესიათა, რომლის მოსამსახურე მშობიარე ქალებსაც ეძლევათ შეღავათება მშობიარობის წინ 8 კვირა და მშობიარების შემდეგ 8 კვირა, ფიზიკურად მომუშავე ქალებთან თანაბრად.

— **ვალიუტის კურსი.**

2 სექტემბერი.

| | |
|---|---|
| ჩერვონეცი | 100.000 მ. |
| სტერლინგი ეფექ. | 94,000 „ |
| ჩეკი. | 89,000 „ |
| დოლარი ეფექ. | 22,000 „ |
| ჩეკი. | 26,500 „ |
| ოსმალური ლირა | 13,500 „ |
| საბჭოთა ფული | 13,500 „ |

იძულებული გახდა კვლავ ულტიმატუმების პოლიტიკას დასდგომოდა საბჭოთა კავშირის მიმართ, რომ ამით აეძულებინა ის დათმობის გზაზე წასულიყო. ინგლისი ცდილობდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ კაპიტალისტური კოალიციის შექმნას (პოლონეთი, საფრანგეთი, იტალია) და ახალი ომის გამოწვევას. ფაქტიურად ეს კოალიცია დარღვეული აღმოჩნდა, ხოლო, მეორეს მხრით, საბჭოთა რესპუბლიკების გონიერულმა პოლიტიკამ აიძულა ინგლისი კვლავ დათმობის გზას დასდგომოდა.

8) მთლიანად აგებულს თანამედროვე კაპიტალისტურს მეურნეობას ახასიათებს პერმნენტალური კრიზისები; პოლიტიკურად და ეკონომიურად მან ვერ შესძლო სწორწონაობის აღდგენა და მშვიდობიანობის მოპოება, ამიტომ იგი კვლავ რყევასა და დაუსრულებელ ანარქიაში იმყოფება. კაპიტალიზმს არ აქვს ჯერჯერობით შესაძლებლობა აღადგინოს თავისი ეკონომიური და პოლიტიკური ბატონობა სავსებით, მეორეს მხრით, არც კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასი აღმოჩნდა ორგანიზაციულად დღემდე მზად პოლიტიკური ძალა-უფლების დასაპყრობლად.

9) პროლეტარიატის ორგანიზაციულად ჩამოყალიბებას და მათ რევოლიუციონურ შემოქმედებას ხელს უშლიდენ და დღესაც უშლიან რეფორმისტული პარტიები, რომელნიც ბურჟუაზიასთან კოალიციის პრინციპს აყენებენ. თვით რეფორმისტები ორ ბანაკად იყვნენ გაყოფილნი და თავს იყრიდენ 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალების გარშემო. 1923 წ. მათ შორის წაიშალა უთანხმოება და ისინი გაერთიანდნენ ერთ ინტერნაციონალის და ორგანიზაციების ქვეშ. მთელი მათი პლატფორმა ფაქტიურად მიმართული არის მუშათა კლასის წინააღმდეგ და ამაგრებს დრო მოჭმულ კაპიტალიზმის ბატონობას და ამით ხელს უშლის დაჩაგრულ ერთა და კოლონიების განთავისუფლების საქმეს.

10) გერმანეთისა და ბულგარეთის მუშათა კლასი აქტიური გამოსვლით ევროპაში დაიწყო საერთაშორისო რევოლიუციის მეორე პერიოდი. ამ მომენტიდან მუშათა კლასი თავდაცვიდან თავდასხმამდე გადაეიდა და იარაღით ხელში დაუპირისპირდა შავს რეაქციას. დღეს ევროპის მუშათა კლასი ჩაბმული არის სამოქალაქო ომის პროცესში და იბრძვის პოლიტიკური ძალა-უფლების დასაპყრობლად. შავი რეაქცია ფაშიზმის სახით და მუშათა კლასი ბოლშევიზმის სახით ერთი მეორეს დაუპირისპირდა მთელს მსოფლიოში. გერმანეთში შექმნილმა ეკონომიურმა და პოლიტიკურმა მდგომარეობამ, რომელიც გამოწვეული არის როგორც საფრანგეთის გეგმებით, ისე კოალიციონური მთავრობის პოლიტიკით, მუშათა კლასი გამოიყვანა ბრძოლის ველზე, რომელსაც ფაქტიურად ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტია. ამ ბრძოლის პროცესში მენშევიკურმა პარტიამ არ უღალატა თავის ძველ ტრადიციას და კვლავ განაგრძობენ მისი ზედა ფენები ბურჟუაზიასთან კოალიციას. რაც შეეხება მუშათა წრეებს, ისინი გვერდში ამოუდგენ რევოლიუციასა და ამაგრებენ კომპარტიის რიგებს. გერმანეთის დღევანდელმა მდგომარეობმ ფაქტიურად გამოაშკარავა საერთაშორისო მენშევიზმის სრული გახრწნა და მისი რიგების დაშლა. დღეს გერმანეთში მენშევიკურ პარტიაში ხუთი საწინააღმდეგო მიმართულებანი ებრძვიან ერთმანეთს; ბულგარეთის მუშათა და გლეხთა მოძრაობა ბულგარეთის ფაშიზმა შესძლო მენშევიკური პარტიისა და ვრანგელის რეაქციონურ ძალების დახმარებით ჩაღრჩობა სისხლში; საქსონიის მუშათა მთავრობად ს.-დემოკრატიის კარნახით და მათი მოღალატური პოლიტიკით იქმნა განადგურებული. მენშევიკების პოლიტიკა დღეს ფაქტიურად ნიადაგს უმზადებს მთელი ევროპის კონტინენტზე ფაშიზმის შავი რეაქციის გამეფებას.

მუშათა კლასმა მწარე გამოცდილებით დაინახა, რომ ერთად ერთი მისი მხსნელი და თავდადებული მებრძოლი მუშათა კლასის იდეალებისათვის არის კომპარტია, რომელიც წინ მიუძღვის რევოლიუციას და პროლეტარიატთან გვერდში სდგას ყოველ პირობებში.

კომუნისტური ინტერნაციონალი არის მებრძოლი შტაბი, რევოლიუციის ავანგარდი, რომლის გარშემო თავს იყრის საუკეთესო რევოლიუციონური ძალები მთელს მსოფლიოში.

11) ასეთ თანამედროვე საერთაშორისო პირობებში, როდესაც პოზიციური ბრძოლა არის გამართული კაპიტალსა და შრომას შორის, როდესაც პროლეტარიატი ჩაბმული არის ფაქტიურად სამოქალაქო ომის პროცესში ერთად ერთი სწორი და მიზანშეწონილი არის კომინტერნის მიერ წამოყენებული მუშათა მთავრობის შექმნის პოლიტიკა, რომლის ლოზუნგის ქვეშ შესაძლებელი ხდება მშრომელი მასების გაერთიანება და მათი ორგანიზაციულად დარაზმვა გადამჭრელ ბრძოლებისათვის.

12) ითვალისწინებს რა ყოველივე ამას და იღებს რა მხედველობაში იმ გარემოებასაც, რომ საბჭოთა ხელისუფლების და კომპარტიის სალმ. პოლიტიკამ საქართველოსა და მთელს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში განამტკიცა სრული ეროვნული თავისუფლება და ნიადაგი ჩაუყარა ხალხის ეკონომიურ, პოლიტიკურსა და კულტურულ აყვავებას, საქ. მემარცხენე სოც ფედ. პარტიის მეორე ყრილობა აღიარებს, რომ მემარცხენე სოც. ფედერალისტებსა და კომპარტიას შორის სრულიად წაიშალა განმასხვავებელი ხაზი პროგრამულ სფეროში და მოუწოდებს თავის წევრებს კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ თავის მოყრისა და კომპარტიასთან ორგანიზაციული გაერთიანებისაკენ.

ამ რეზოლიუციის მიღების შემდეგ ამხ. თედო ღლონტი კითხულობს რეზოლიუციას კომპარტიასთან გაერთიანების შესახებ, რომელსაც შემდეგ ნომერში მოვათავსებთ.

# ან აქით, ან იქით

მეოცე საუკუნის დასაწყისი ფართო სოციალური მოძრაობით ხასიათდება. ეს მოძრაობა ეროვნულ ჩარჩოებს გასცილდა და მსოფლიო მაშტაბში ჩქარი ტემპით ვითარდება. მშრომელი კაცობრიობის მოთმინების ფიალა აივსო და მან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა „ძლიერებს ამა ამა ქვეყნისა". ახალი ქვეყანა მოდის დახავსებული სოციალი წყობილების შესაცვლელად. ამ შემთხვევაში ყოველი პიროვნების, ყოველი პოლიტიკური ორგანიზაციის წინაშე მწვავეთ ისმება საკითხი: საით? ვისთან! ვის წინააღმდეგ! გადამწყვეტი სოციალი ბრძოლის დროს შეუძლებელია ნეიტრალიტეტის დაცვა. ამის უნარი მხოლოდ თათქარიძეებს შესწევთ, თუმცა ეს ფიზიკურად და სულიერად დაძაბუნებული ადამიანებიც კი აღელვებული არიან ბატონყმობის გადავარნის შესახებ გავრცელებული ხმებით.—ნოე ჟორდანიას ცნობილი ფორმულა „არც აქით, არც იქით" და დემოკრატიული საქართველოს „ნეიტრალიტეტი" მეტად სუსტი, ეფემერული აღმოჩნდა. ჟორდანია აშკარად კაპიტალისტურ ევროპას მიემხრო საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ და განაცხადა:

იმპერიალისტური დასავლეთი მირჩევნია ველურ ბოლშევიკურ) აღმოსავლეთსო, ხოლო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავისი არსებობის მთელ მანძილზე წარმოადგენდა კონტრევოლიუციონერების საიმედო დასაყრდენს რუსეთის რევოლიუციონური პროლეტარიატის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს საუკეთესო საბუთია იმის, რომ დღეს შუაში დგომა შეუძლებელია, ყოველი მებრძოლი ძალა უნდა დადგეს ბარიკადების ან აქითა ან იქითა მხარეს. ასეთია ნება ისტორიისა, ობიექტიური პირობების კარნახი, სუბექტიურ მომენტებს ანგარიშიც რომ არ გავუწიოთ.

აქ არის მთელი ტრაგედია მემარჯვენე სოციალისტების, აქ უნდა ვეძიოთ მიზეზი მემარჯვენეთა რიგების დაშლისა, რომელიც დღეს მთელ მსოფლიოში ხდება. იმის დაჯერება ხომ ბავშური გულუბრყვილობა იქნებოდა, თითქო მემარჯვენეთა დაშლა „ჩეკას" მოქმედების შედეგია? მაშინ როგორ უნდა ავხსნათ გერმანიაში კომპარტიის ზრდა სოც.-დემოკრატიის ხარჯზე. იქაც ხომ არა ყავთ კომუნისტებს საგანგებო რაზმები. არა! მიზეზი აქ ღრმა სოციალურ შინაარსისაა.

ჩვენ, მემარცხენე სოც.-ფედერალისტებმა, როგორც არჩილისა და გ. ზდანოვიჩის მოწაფეებმა, როგორც პარიზელი „საქართველოს" მემკვიდრეებმა მშრომელი საქართველოს ბედი მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციას დავუკავშირეთ, ხოლო ამ უკანასკნელის ბურჯათ მსოფლიო პროლეტარიატი და მისი შტაბი მესამე ინტერნაციონალი დავსახეთ. იმ თავითვე მომენტს სწორი დიაგნოზი დავუსვით და ჩვენი მოქმედების გამოსავალი წერტილათ ის მთავარი დებულება მივიჩნიეთ, რომ თანამედროვე ხანა გადაგვარებული კაპიტალიზმისა და სოციალიზმის გენერალი შებრძოლებაა. ჯერ კიდევ 1919 წ. „სახალხო საქმის" ფურცლებზე სწერდა ამხ. სიმ. ხუნდაძე: **„დღეს მოწინავე პოზიციები და მთავარი იერიში კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ არის მიმართული და მათ გასანადგურებლად იბრძვის საერთაშორისო რევოლიუციონური დემოკრატია. თანამედროვე ომის ადგილი სამოქალაქო კლასიური ბრძოლის ქარტეხილმა დაიჭირა და ნაციონალურ სახელმწიფოთა შავი დროშები რევოლიუციისა და სოციალიზმის წითელმა ინტერნაციონალურმა დროშებმა შესცვალა".** ამხანაგის პროგნოზი ისტორიამ სრულიად გაამართლა. ამ ნიადაგზე მდგომი, საქართველოს სოც.-ფედერალისტთა პარტიის მემარცხენე ფრთა, დაუღალავ მუშაობას ეწეოდენ ლიტერატურული კამპანიის სახით „წითელი ინტერნალური დროშის" სასარგებლოთ მაშინ, როდესაც საქართველოს სინამდვილეში რამიშვილი—კედია—ფაჩულიები თავისი რაზმებით დათარეშობდენ, ხოლო რევოლიუციონური მოძრაობა მწვავე კრიზისებს განიცდიდა შავრაზმელების (დენიკინი, კოლჩაკი, იუდენიჩი და სხვ.) წინააღმდე ბრძოლაში.

1921 წ. თებერვალში უაღრესი მნიშვნელობის ისტორიული აქტი მოხდა. ქართველმა კომუნისტებმა რევოლიუციონური წითელი არმიის საშვალებით დაამხეს კონტრევოლიუციის ციტადელი ამიერ-კავკასიაში—საქართველოს მენშევიკური ხელისუფლება და სასახლის თავზე პროლეტარიატის სისხლში განბანილი წითელი დროშა ააფრიალეს.

რამიშვილებისა და დევდარიანების „ინფორმაციის" წყალობით ჩვენ ხალხს საოცარი წარმოდგენა ქონდა ბოლშევიკებზე. ბოლშევიკებს თან მოაქვთ სიმშილი, სიცივე, განადგურება, წითელი ჯარი ველიკოროსიულ შავ საქმეს აკეთებს, ერი დამპყრობელია—აი მენშევიკური აგიტაციის ძირითადი მოტივი—ამიტომ ბუნებრივია, რომ ქართველი ხალხი ახალ ხელისუფლებას უნდობლად უყურებდა.

საქართველოში დამხვდურ ძალთა შორის მხოლოდ ჩვენმა პარტიამ მშრომელი საქართველოს ტრიბუნიდან ხმა მაღლა განაცხადა: ბოლშევიზმი ჩაგრული ხალხის მეგობარია. მისი დევიზია: „ბრძოლა სასახლეებს, მშვიდობა ქოხებს". და საქართველოს პოლიტიკურ ჰორიზონტზე რამიშვილების მიერ შექმნილი მძიმე ატმოსფერა გავფანტეთ. ვინც ჩვენ მაშინ „მოღალატეს" გვეძახდა, იგი დღეს ჩვენ გზას დაადგა—ხელისუფლებასა და ხალხს შორის უფსკრული წაიშალა, ხიდი გაიდვა.

დღეს ჩვენს წინაშე მორიგი ამოცანა იდგა კომპარტიასთან გაერთიანების შესახებ. თავისი კომპეტენტური სიტყვა პარტიის მეორე ყრილობამ უკვე სთქვა. კომპარტიის პლატფორმა ჩვენთვის სავსებით მისაღებია. ჩვენი პროგრამის ორი ძირითადი მუხლი: მიწის სოციალიზაცია და ფედერაცია საბჭოთა კავშირის ცხოვრებაში უკვე რეალობაა. კომპარტიის მეთოდები ჩვენი მეთოდებია, არჩილის მიერ ნაანდერძევი გარდამავალი პერიოდის გაგებაშიაც ჩვენს შორის არავითარი განსხვავება არ არსებობს. სხვაობა თეორიაში არ შეიძლება დღეს პირველ რიგში დავაყენოთ: ბისმარკმაც იცოდა, რომ სოციალ პოლიტიკურ საკითხებს რკინა სწყვეტს, ხოლო არჩილი ოციოდე წლის წინათ გვიმოძღვრებდა: **„სოციალიზმი უკვე თეორიის კითხვა კი აღარ არის, არამედ კითხვა პირდაპირი ძალისა, მისი გადაწყვეტა პარლამენტით კი არ შეიძლება, არამედ ქუჩაზე, ბრძოლის ველზე".** და ეს აუცილებელს ხდის მებრძოლი რიგების შემჭიდროების. განსაკუთრებით დღეს, როდესაც გერმანიას სამოქალაქო ომის ალი მოედვა.

რომაელები იტყოდენ, ვინც ჩვენთან არ არის იგი ჩვენი მტერიაო, ათეული საუკუნეების შემდეგ იგივე შეუძლია გაიმეორონ დღეს რევოლიუციონურმა ორგანიზაციებმა: ვინც ჩვენთან არ არის, იგი რეაქციის მოციქულია. **ან იქით, ან აქით!** ასე მოკლეთ, მკაფიოთ, მაგრამ თან კატეგორიულად გვიბ-

[illegible]ანებს მომენტი. რევოლიუციასა და რეაქციას შუა დგომა შეუძლებელია, რადგან იქ ბარიკადებია აღმართული—აი თანამედროვე ვითარების შინაარსი და ჩვენი პარტია დადგა იქ სადაც ყოველთვის დგა: რევოლიუციის სადარაჯოზე: იგი შემჭიდროვდება მებრძოლთა რიგებში და მკვეთრად დასძახებს:

**ძირს ფაშიზმი!**

**გაუმარჯოს რევოლიუციას!**

**დათიკო ლორთქიფანიძე.**

# [illegible]

**აღწერი 1923 წ. ტფილისის მაზრის სასოფლო-სამეურნეო აღწერის დღიურიდან**

(ტფილისის მაზრა),

**22 მკათათვე.**

დღეს დავბრუნდით სოფლებიდან, რომლებიც მდებარეობენ მანგლისის აღმოსავლეთით. აქედან ახლოს არის გორის მაზრა სულ 7—8 ვერსით დაშორებული მაღლობიდან, რომელიც ჰყოფს ტფილისის მაზრას გორის მაზრიდან მოსჩანს სადგურ [illegible]რელის მიდამოები... ამ მხარეში მთიულები სცხოვრობენ ძველ დროიდან გადმოსახლებული ფასანაურ-ანანურის მლეთის და გუდაურის ხეობიდან. სოფლები დამოუკიდებელნი არიან ერთი-მეორეს 5—6 ვერსით სცხოვრობენ 15—40 კომლობით. სახლები და ზნე-ჩვეულება ისევ ძველებურია. დაშორებულნი მთიულეთს თავთავიანთი გარეგნული შეხედულებით ნაკლებათ წააგავან თავთავიანთ—წინაპრებს. სცხოვრობენ, როგორც საზოგადოთ მთის ხალხი ყველით—ერბოთი, მისდევენ მესაქონლეობას მეცხვარეობას.

**25 მკათათვე.**

...დიდ-ნამტვრევანიდან თანამშრომლებს ავცდი. მთის დაკლაკნული ბილიკები, რომელსაც ერთი მთიდან მეორეზედ სწრაფად გადავყავდი შემალა. მე ერთ მიმართულებისკენ წავედი, ისინი მეორეზედ. დავილალე, ჩამოვჯექ. არე-მარის ლამაზი სურათით გატაცებული შევკრთი—მაღლობიდან მკაფიოდ მოსჩანდა აყრილი ტყე—მერე ველი, მწვანით დაფენილი, შემდეგ პატარა გორაკები—იმის იქით მთები, რომლის მწვერვალი ამაყათ გადმოჰყურებდა ველ-მინდორს და რომელსაც ახლო მეზობელ მთებიდან ნელის ნაბიჯით ეპარებოდა პატარ პატარა, მტრედისოდენად დაფანტული ბურუსი...

იქვე ახლოს სადღაც ნავარდობდა მთის ცელქი წყალი, რომლის შხუილი ტკბილ დედის ნანასავით ევლებოდა ადამიანის გრძნობას.

„გამარჯობა შენი" შემომესმა ვიღაცის ხმა.

მე წამოვხტი.

უცნობი მომიახლოვდა.

ის იქნებოდა 40 წლის მაღალი.

შავგვრემანი—მზისგნით გაშავებული—შავი პატარა წვერ-ულვაშით.

ჩაცმული იყო ზამთრის ტანისამოსში. ტყავის ქუდი ყურებამდის ჩამოწეული ჰქონდა.

„რაი კაცი ხარ, საით მივალს" გამომკითხა უცნობმა.

„უხნარისკენ, ამხანაგებს ავცდი".

„ახლოს ხარ სოფელთან, სულ ახლოს, შუადღემდე გადახვალ".

მომიახლოვდა უცნობი—ხელი გამომიწოდა.

„შვიდობით ბრძანდებით"? გამომკითხა მან.

„გმადლობთ, შვიდობით" უპასუხე მე.

„სხვა რაი ამბავია ქალაქს, რაი ისმის?.."

- შვიდობა.

შვიდობას რაი ემჯობინების, კარგია მაგრამ [illegible]არჩა რაი აღარ იშოვების—რა ვაგლახია, პერანგ ვერ ჩაგვიცომს და ლოგინისთვის ვერ მოგვივლია, ვართ ასრე ღვთის ანაბარათ, ჩვენი ალარას ფასობს, ერბო და კარაქი აღარას გვშველის, ფასი დაეკარგვის - იმათი გაძლიერდის—ერთხელ არ გვიკითხამს ჩვენი კაცები ცოცხლები ხართ, დახოცვილხართ.

პასუხი ვერა გავეცირა. იმის მოღრუბლულ და ნაღვლიან სახეს ჩემი ორიოდე სიტყვა ვერ დააკმაყოფილებდა.

ჩამომცქეროდა. ეტყობოდა სცდილობდა გაეგო სამტროთ ვიყავ მოსული თუ სამოყვროთ—რიღაცის თქმა უნდოდა. დაიწყო მაგრამ ისევ შეჩერდა..

ნამგზავრი ხარ პური გეშიება--ჩვენც მთიდან მოვალთ სახლში, ცხოვარში ვიყავით—საზაფხულო ბინებზე, ყველი გვაქვს და ხორცი—წამო შეჭამე რამ „სტუმარი ღვთისაა"...

მე მადლობა გადავუხადე, გამოვემშვიდობე და გავეშურე ნაჩვენებ მთის ძირში მიმავალ ბილიკისაკენ.

**28 მკათათვე.**

სოფ. უხნარი სულ ორი კომლისაგან შესდგება. ცხოვრებენ ბუნებისაგან უხვათ დაჯილდოვებულ ადგილებში: ხშირი ტყე მთის მოჩქეფარი პატარა მდინარეები—ხავერდივით მწვანე მიდამო კოჭებამდის ბალახი, რასაც ხელს უწყობს საქონლის მომრავლებას.

ერთი ამ სოფლის მცხოვრებთაგანი მემამულესაგან ჩამორთმეულ სახლში სცხოვრობს. უწინ აქ ტყე უჩეხიათ და ქალაქში უგზავნიათ გასასყიდათ.

„ერთობის ხალხმა ეს სახლი მე მაკუთვნეს. ბატონი თავად წავიდა ქალაქს".

ოჯახის უფროსი ავადმყოფია, დასნეულებული.

ტანთ—რა აცვია, ვერ წარმომიდგენია: რაღაც კონკები, ფალასები, კანაფით გადაბმული, მაგრამ ტანის სიტიტვლეს მაინც არა ფარამს.

მოზარდი გოგო-ბიჭები გვემალებიან; სცხვენიანთ უტანისამოსოთ არ გვეჩვენებიან. არც ლოგინი, არც სხვა რაიმე მცირეოდენი ოჯახის ავეჯეულობა. აუტანელია იმათი ცხოვრება.

„დამიბრივეს" შემომჩივლა ოჯახის უფროსმა „ერთი ხარი მყავდა ამ შემოდგომით უნდა გაეყიდნა ტანისამოზედ, მაგრამ არ გვაცალეს ღამე ქურდები მოვლიან—აეშვათ... ჩემი ქომაგი არვინ არის ვარ ასრე დაბრიყვებული.

**30 მკათათვე.**

სოფ. ზირბითიდან, რომ ვბრუნდებოდი მანგლისის გზაში უცნობი შემომხვდა.

სალამი მომცა მეც გავეპასუხე „რაი კაცი ხარ საით მიხვალ?

ტფილისიდან სასოფლო-სამეურნეო აღწერას ვახდენთ უპასუხე მე.

ქართველი ხარ?

ქართველი ვირ.

რაი ვაგლახია, რომ ფეხთ ვერ ჩაგვიცვამს და ტანთ ასრე სიძვირე ვის გაუგონის, გულს ანაღვლიანებს. გამოსწორდება, მაგასაც ეშველება მიუგე მე.

სტუმარი ვერ მიმიყვანის სახლში, მცხვენის ბოლო უნდა ჰქონდეს ყოველ დუხბირს, ხალხი იტანჯების. .

ჩქარა წახვალ ქალაქს მკითხა უცნობმა.

„დიაღ ჩქარა" მიუგე მე.

რომ ჩახვალს ქალაქს, მიირბინე მახარაულთან (ალბათ ფ. მახარაძე) და უთხარ ჩვენი დუხჭირი, ჩვენი უბედურება... არ დაგეზაროს უთხარს უსათვათ აგრემც შემოგევლების შენი სვიმონი...

შევპირდი. გამოვემშვიდობე

„თუი ძალუან არ გეჩქარის წამო ჩემთან, გვიანია უცხო კაცი ხართ დაისვენებთ ხვალ დილით გაუდგები შენს გზას".

მადლობა გადაუხადე და გავუდექ ჩემს გზას —კარგახანს ვიარე. პატარა გორაკას რომ ავედი სვიმონი ისევ იქ იდგა და ჩემსკენ იცქიროდა... ვიცი, სვიმონ რაც დამაბარე ჩავალ ქალაქს და უსათუოთ ვიტყვი არ დამავიწყდება...

**გიორგი სუხიშვილი.**

(დასასრული იქნება)

# ხელოვნება

**„ინტერესთა თამაში".** კვირას, 11 ნოემბერს, მეოთხედ წარმოადგენენ „ინტერესთა თამაშს" პიესა ხასინტა ბენავენტესი.

---

**სახალხო სახლი.** კვირას, 11 ნოემბერს, წარმოდგენილი იქნება მეორედ შ. დადიანის პიესა „გუშინდელნი" მონაწილეობას იღებენ წრის საუკეთესო ძალები.

---

**რუსული დრამა.** სახალხო სახლში რუსული დრამის მსახიობთაგან, შაბათს, 10 ნოემბერს, მეორედ წარმოდგენილი იქნება ლუნაჩარსკის პიესა: „განთავისუფლებული დონ-კიხოტი" 4 მოქ. და 8 სურათად.

სამშაბათს, 12 ნოემბერს, წარმოდგენილი იქნება ორიგინალური დადგმით თანამედროვე კოსტიუმებით: შექსპირის „ჭირვეული ცოლის მორჯულება".

---

**მაჩაიძის სახელობის კლუბი.** მელითონეთა კავშირმა დაადგინა თავის კლუბს უწოდოს რევოლიუციონერ ამხ. ბ. მაჩაიძის სახელობის კლუბი.

**ჭიათურა.** ჭიათურის თეატრში დაიწყო ქართული წარმოდგენების სეზონი პროფესიონალ მსახიობთაგან მოწვეულნი არიან: ქ. ანკარა, შ. ხონელი და სხვანი. ადგილობრივს თეატრს ჭიათურის შავი-ქვის საბჭო აძლევს სუბსიდიას.

---

**ბაქო.** ქართული წარმოდგენების სეზონი დაიწყობა 15 ნოემბერს. ადგილობრივ ქართველობას აქვს საკუთარი კარგად მოწყობილი თეატრი. მსახიობთა მოსაწვევად ტფილისში გაგზავნილია მსახიობი დ. მატარაძე.

---

**ბაქოს სომხური დრამა.** ბაქოში პირველად სომხურს ენაზედ წარმოადგინეს სომეხ მწერალ დემირჩიანის პიესა „დადასტანი" პიესა საზოგადოებას ძალიან მოეწონა.

---

**ფიროსმანი.** იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა სახელმწიფო გამომცემლობის გამოცემა დიდი წიგნი მხატვარ ფიროსმანაშვილზედ. წიგნში მოთავსებული იქნება ფიროსმანის რეპროდუქციების ალბომი, ვრცელი ბიოგრაფია და წერილები: გრ. რობაქიძის და ზდანოვიჩისა.

---

**„რუსთაველიანა".** იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა პავლე ინგოროყვას „რუსთაველიანა".

---

**ვაჟა-ფშაველას მეორე ტომი.** დეკემბრის პირველ რიცხვებში გამოვა ვაჟას მეორე ტომი, რომელშიც მოთავსებული იქნება მისი პოემები.

---

**ახალი წიგნი.** პოეტი სანდრო ეული ამზადებს დასაბეჭდათ თავისი ლექსების და პოემების მესამე წიგნს. მისი მეორე წიგნი „ქარხნის ტრიუმფი" ორჯერ გამოიცა..

---

**ამხ. ს. თალაკვაძემ** დაასრულა დიდი რომანი, რომელიც ცალკე წიგნად გამოვა

---

**გალაქტიონ ტაბიძის ჟურნალი.** იანვრიდან გამოვა „გალაქტიონ ტაბიძის ჟურნალი" ახალი შემადგენლობთა და შინაარსით.

---

**ლადო გუდიაშვილი.** მხატვარი ლადო გუდიაშვილი ამ მოკლე ხანში პარიზიდან ტფილისში დაბრუნდა.

---

**ვ. ბარნოვის ტრიოლოგია.** „ქუფროლანდები" „გიორგი სააკაძის ცხოვრებიდან". უკვე იბეჭდება ჟურნალ „მომავალში".

**დღეს თეატრებში.**

**სახელმწიფო ოპერა.** წარმოდგენილი იქნება პროფკავშირთა წევრ[illegible]

---

**რუსთაველის** [illegible] წევრებისათვის „[illegible]", დადგმა კ. მარჯანიშვილისა.

---

**დოღი.** კვირას, 11 ნოემბერს, დოღის მოედანზე გაიმართება დიდი საინტერესო დოღი და აგრეთვე „ფეხით სირბილი" დაუკრავს სამხედრო მუსიკა. დასაწყისი შუადღის 1 საათზე. თავისუფლების მოედნიდან იქნება ამ დროისთვის საგანგებო ავტომობილები.

---

დღეს, შაბათს 10 ნოემბერ ხელოვნების სასახლეში გაიმართება ლიტერატურული საღამო 1. პაოლო იაშვილი შესავალი სიტყვა. 2. კ. კაპანელი ტროპიზმი და მარადობის იდეა. მოხსენების თავმჯდომარე: გრიგოლ რობაქიძე. ოპონენტი: პროფესორი შალვა ნუცუბიძე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

საღამოს დაწყების შემდეგ დარბაზში არავის არ შეუშვებენ.

წევრთათვის დაწრება უფასოა.

ბილეთების ფასი 1 დან 2 მილიონამდე.

# მთავრობის მოქმედებანი —და განკარგულებანი—

## ბინის ტარიფიკაციისათვის

(ტფილისის აღმასკომის 1923 წლ. 23 აპრილის დადგენილების დამატება).

ქალ. ტფილისში საცხოვრებელ ბინის სივრცის აღრიცხვის დროს ქალ. ტფილისის აღმასკომის ამა წლის 23 აპრილის დადგენილების თანახმად № 11 § 4, ქალაქის განაპირა უბნებათ ითვლებიან:

1-ლი რაიონი. საბურთალო, ახალშენი; საქართველოს სამხედრო გზით ყოფ. ბოზარჯიანცის თამბაქოს ქარხნის ხიდის იქით მთელი რაიონი.

ვაკე სავსებით ვარაზის ხევის ხრამს იქეთ.

სვიმონოვის მთელი ახალშენი

მთის კალთა პეტროვის ქუჩის ზევით.

მე-3 რაიონი. სოლოლაკის ხეობა—რაიონი ზევით ტრამვაის გასაჩერებელ ადგილას. კოჯორის გზისა და რკინის წყალსადენ მილის დასაწყისთან.

მე-5 რაიონი. საქარხნო რაიონი,—მნაცაკანოვის ხიდის იქეთ, ორდაჭალა, ქრწანისი, მთელი ხარფუხი მთის დაღმართით სუფსარქისის ქუჩამდე.

მე-6 რაიონი. მთელი მე 6 რაიონი ვორონცოვის ფერმისა, ნავთლუღისა, მამუკიანის სოფლის და სასაფლაოს რაიონის ჩათვლით.

მე-7 რაიონი. რკინის გზის გამოღმა მთელი რაიონი, ახალშენები, ბებუთოვისა, მირზოევისა და სხვათა მამულზე.

მე-8 რაიონი. არსენალის ახლო მახლო რაიონი რკინის გზის გადაღმა.

მე 9 რაიონი. რკინის გზის იქითა მთელი რაიონი ყ. მსროლელთა რაზმი დაწყებული არსენტამდე ჩარითცხვით ნორიოსა, სამოვოლნაიას და სხ. ა ქუჩ. და აგრეთვე ყოფ, დოლუხანოვისა, ნადიროვისა და სომეხთა სემინარიის მიწებზე გაშენებულ ახალშენებით.

მე-11 რაიონი. მთელი 11 სამილიციო უბანი ნაძალადევი, ძველი ნახადოვკა, ლოტკის გორა და სხვა.

ქალაქის დანარჩენ ნაწილში საცხოვრებელ ბინის სივრცე უნდა შეფასდეს იმ ტარიფით, რომელიც დადგენილია ქალაქის ცენტრალურ ნაწილისთვის თანახმად თბილისის აღმასკომის ამა წლის 23 აპრილის დადგენილებისა № 11.

ტფილისის
საბჭოს თავმჯდომარე—**ხუხიშვილი.**
მდივანი—**თიკანაძე.**

8 მაისი 1923 წ.

—:—

**დებულება საცხოვრებელ ბინებზედ საიჯარო ქ რის შესახებ.**

(დასასრული)

**შენიშვნა:** 2. სახელმწიფო მომარაგებაზე მყოფი სახელმწიფო დაწესებულებების და წარმოებისათვის ქირა წესდება არა უმეტეს 10 კაპეიკისა სასარგებლო საცხოვრებელ სივრცის კვადრ. არშინზე; სამეურნეო ორგანოებისა, კერძო დაწესებულებების, წარმოების და ორგანიზაციებისათვის, შეთანხმების მიხედვით.

§ 5. ძირითადი საბინაო ქირას ემატება; თუ არის:

| | | |
|---|---|---|
| ა) [illegible]ომქმედი ვანა | 1 | პროც. |
| ბ) სადარბაზო შესავალი | 1 | „ |
| გ) შუშაბანდიანი გალერეია | 1 | „ |
| დ) სამზარეულო | 1 | „ |

**შენიშვნა:** გასავლელ ოთახებზე, რომლებიც მხოლოდ აერთიანებენ ერთ ნაწილს მეორესთან, საიჯარო ქირა წესდება, როგორც შუშაბანდიან გალერიებზე.

§ 6. სასარგებლო საცხოვრებელ სივრცის ნორმათ დაწესებულია 25 კვადრ. არშინი სულზე.

**შენიშვნა:** ნორმის ზევით ერთი კაბინეტის (30 კვ. არშ.) დაჭერის უფლებით სარგებლობენ პასუხისმგებელი მუშაკები, პროფესორები, პრაქტიკის მქონე ექიმები და აგრეთვე საბჭოთა სამსახურის მყოფნი ინჟინრები.

§ 7. დაწესებულებებისათვის საცხოვრებელ სივრცის ნორმათ არის 9 კვ. არშინი და დაწესებულებების თვითეულ მუშაკზე (დაწესებულების მტკიცე შტატის მიხედვით,) ამ ნორმის ზევით დაწესებულების ხელმძღვანელისათვის და ძირითად განყოფილების გამგეების კაბინეტებისათვის დაშვებულია დაჭერა საცხოვრებელ სივრცისა არა უმეტეს 30 კაპ. არშინისა, თვითეულ კაბინეტზე.

§ 8. სარდაფებზე, ნახევრად სარდაფებზე, ბნელ შენობებზე და აგრეთვე ერთ სართულიან სახლებზე, სადაც არ არის წყალსადენი საიჯარო ქირა მცირდება 50 პროცენტით.-

§ 9. პირველ 21 რთ კატეგორიის პირებს საიჯარო გადასახადი შეაქვთ თვითეულ თვის დამლევს იმ კურსით, რომლის მიხედვითაც ისინი ჯამაგირს იღებენ.-

§ 10. მე-22 რე კატეგორიის პირებს საიჯარო ქირა შეაქვთ სახლის პატრონთან—შეთანხმებით.-

§ 11. პირველ 21-თი კატეგორიის პირებმა ქირის შეტანის დროს უნდა წარმოადგინონ სამსახურის ადგილიდან მოწმობა ჯამაგირის რაოდენობის შესახებ, რომელიც თვითეულ სამ თვეში განახლებული უნდა იქნას.-

წარმოებების და დაწესებულებების ადმინისტრაცია პასუხის მგებელია ჯამაგირის რაოდენობის შესახებ მიცემულ მოწმობების სისწორეში.-

§ 12. საიჯარო ქირის დანიშნულ ვადაზე (§ 9 და 10) არ შეტანის შემთხვევაში სახლის პატრონს უფლება აქვს გადაახდევინო ქირა გადახდის დღეს არსებულ კურსის მიხედვით.-

§ 13. საიჯარო ქირის არ გადახდის შემთხვევაში, არა კეთილ-სინდისიერი გადამხდელები, ერთი თვის შემდეგ აღნიშნულ ვადისა (§ § 9 და 10) გაძევებულნი იქნებიან ბინიდან სასამართლოს წესით.

**შ ე ნ ი შ ვ ნ ა:** გაძევებიდან და საიჯარო ქირის არსებულ კურსის მიხედვით გადახდისაგან განთავისუფლებულნი არიან პირველ 21 კატეგორიის გადამხდელები, თუ საიჯარო ქირის დროზე არ გად ხდა მოხდა დაწესებულების ან წარმოების მიზეზით. ჯამაგირის თავის დროზე არ მიცემის გამო იმ თვეში, რომლის საიჯარო ქირა შესატანი იყო, ჯამაგირის მიღებისთანავე პირველი 21-თი კატეგორიის გადამხდელები მოვალე არიან დაუყონებლივ შემოიტანონ საბინაო ქირა.-

§ 14. ყველა კონფლიქტების საიჯარო ქირის გამო უნდა გაირჩეს სახალხო სასამართლოში.-

§ 15. ამ „დებულება"-ს სავალდებულო ძალა აქვს ყველა შენობებისათვის.

§ 16. ეს „დებულება"—არ ვრცელდება სასტუმროებში მცხოვრებ პირებზე.

საბჭოს თავმჯდომარე **ხუხიშვილი.**
მდივანი **თიკანაძე.**

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

გაზეთი
„ტრიბუნა"
ნოემბრის 1-დან ეღირება:

| | |
|---|---|
| პროფკავშირთა წევრებისათვის თვიურად | 7.000.000 მ. |
| დაწესებულებათა და კერძო პირთათვის | 9 000.000 „ |
| ცალკე ნომერი | 500.000 „ |

ტირაჟი 1900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარ მართველობის მიერ № 789 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა"-სი, კრუზენშტეინის ქუჩ № 4